ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №58

2015 წლის 29 მაისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების პრევენციული ღონისძიებების გატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ” 2007 წლის 27 მარტის N449 ბრძანების შესაბამისად:

1. დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი,მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტები, რომელიც შეისწავლის და აღწერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის სახლებს, რომლებშიც არ არის დაცული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები.

2. დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე გასათვალისწინებელი ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების საშუალებების გათვალისწინებასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე შეიმუშაოს და რეკომენდაციის სახით გააცნოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეებს.

3. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ერთი თვის ვადაში წარმოუდგინიოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების თაობაზე პრევენციული ღონისძიებების გატარების შესახებ.

3. კონტროლს განკარგულების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**